




ამ გიგანტურ აღმშენებლობას რადგან მას უდგამენ ძალას ძარღვებში
მოაქვს დიდება ყოფილ მონების, მილიონები მილიონების.

ინდუსტრიალიზაციის მე-3 სესხზე ჩვენც ხელს ვაწერთ და ვიწვევთ ყველა ამხანაგებს თითო თვის ხელფასით, და გვწამს არ შეგვარცხვენს, ვინც საბჭოთა საქმეს პირნათლად განაგებს.

მხურვალე სალამი ამ საქმეს დიდებულს და ყველა საბჭოთა მშრომელ მოქალაქეთ. ვხედავ ინდუსტრიით დღეს აღორძინებულ საბჭოთა სოფლებს და საბჭოთა ქალაქებს.

გავზარდოთ, მშრომელნო, ჩვენ ძლიერება, ამხანაგ ლენინის უკვდავი საქმენი.

თუ შრომის ვერ ავწევთ ნაყოფიერებას, რად გვქვიათ საბჭოთა ჩვენ მოქალაქენი?

საქვეყნო სქამისათვის ვართ მოწოდებული ყველა ქეშმარიტ მშრომელთა მოძმენი.

ჯერ ჩვენი ქვეყანა არ გამაგრებულა გულუხვ ინდუსტრიის მუხლმადარ ბოძებით.

ჩვენ სოციალისტურ შენებას ვეწევით.

ჩვენ ვანგრევთ დასანგრევს და ახალს ვაშენებთ. რისხვას მოულოდნელს ჩვენ არ გავეცევით, რადგან შრომის დროშას ბრძოლისას ამშვენებს.

მრავალი საკითხები თუ გადაგვიჭრია, მრავალზე შემდეგშიც გვექნება მსჯელობა.

მოქალაქეობრივი სინდისი გვჭირა, რომ ვიგრძნოთ სირცხვილად დღეს გაურკვევლობა.

სოფლის და ქალაქის კეთილი მოწყობის საქმე, ჩვენ გვავალდებს დაუღალავ შრომას. ზიდი უნდა გავდოთ თანხმობა და ძმობის; ნაყოფს შრომა მოგვცემს და არა განცხრომა.

თუ გვსურს შევასრულოთ გეგმა ნ წლიანი,— მაშ ნუ დავიშურებთ ჩვენს წვლილის შეტანას. ეკონომიურად ფესვებ გამაგრებულს, ვერა-რას დააკლებს მტერი ჩვენს ქვეყანას.

თუ საქმე მოითხოვს,—ცეცხლს დავუბრუნდებით, (მსოფლიო ქარიშხალს არ დაუბერნია).

დღეს კი მშვიდ ცხოვრების მოწყობას უნდებოდა ჰო-და, რა თქმა უნდა, რომ ნაკლიც ბევრია.

ვარზე მომდგარ პირსაც ხვდებით ვაჟკაცურად; მოხატმენს მოვითმენთ; მით რა დაგვაკლდება! ერთის ხელის მოსმით ზღვა ვინ გადასცურა? ქვეყნის საძირკველიც ხომ წლობით მაგრდება.

ინდუსტრიალიზაციის მე-3 სესხზე ჩვენც ხელს ვაწერთ და ვიწვევთ ყველა ამხანაგებს თითო თვის ხელფასით, და გვწამს არ შეგვარცხვენს ვინც საბჭოთა საქმეს პირნათლად განაგებს.

დონ-კიხოტი.

მომავალნი და მიმავალნი



მიღოს ნორჩი ბიონერი
დაფით, სალამურით,
ეს ორი კი ბებრულ ცქერით
მათ გაშჸურებს შურით.

ორივემ, არნომ და ვანომ ერთსა და იმავე დროს აიღეს შევებულება. არნოზე ამბობდნენ ამხანაგები, რომ საზოგადოებრივ მუშაობაზე მუშაობდა აქვს შევებულება. საზოგადოებრივ მუშაობაზე (საზოგადოებრივ კომისიის) ძინებდნენ. ამ შევებულებაზე ის გარემოება აღრმავებდა, რომ არნო საშფო უჯრედის წევრი იყო და ხშირად მუშაობდა საზოგადოებრივ კამპანიის შესახებ. იგი ხაზს უსვამდა იმ ძირითად გეზს, რომ შევებულება საზოგადოებრივ კამპანია უნდა გამოიყენონ სოციალისტური მშენებლობის წარმატებისათვის სოფლად, რაც ხელს შეუწყობს მის (სოფლის) კულტურულ და ეკონომიურ... და სხვადასხვა.

დაახლოებით ასეთივე იდეებით დაახლოებით ასეთივე იდეებით იყო გამსჭვალული ვანოც. მას მხოლოდ ეს უყვარდა; უმთავრესად საქმე აინტერესებდა.

არნო საზოგადოებრივ და საშფო ლიტერატურით შეიარაღდა და სოფელ კვიპიხეთში გაემგზავრა.

ვანოც წავიდა თავის სოფელში და იქნებოდა დასვენებასთან ერთად საზოგადოებრივ მუშაობას შეუდგა. ტყუილი იქნებოდა იმის თქმა, რომ ვანომ იმ თვის განმავლობაში მოახდინა დიდი მუშაობა სოფლის მეურნეობის ეკონსტრუქცია და კულტურული ევოლუციაც დაამთავრა! მან მხოლოდ უღმერთოთა უჯრედი მოაწყო, საბარა რამოდენიმე კრება, სადაც მოსწონებები გააკეთა საჭირობოტოკი საჯიხების შესახებ, აუხსნა მარტოვად გლეხებს პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების უახლოესი ამოცანები და სხ.

სულ სხვანაირი იყო არნოს მუშაობის მასშტაბი და რადიუსი. რკინის გზის სადგურზე რომ ჩამოვიდა, არნომ ერთი იქირავა სახლში წასასვლელად. ან კი რატომ არ უნდა ექირავებინა? მას, როგორც განყოფილების გამგის მოადგილეს, ჰქონდა ამის საშუალება და შესაძლებლობა. ამ აზრზე (გადასაზიდ საშუალებათა ხაზით) არნო სულ სხვადასხვა აზრის იყო, ვიდრე დაწინაურებული მუშა ვანო, რომელიც სოფელში შეუდგა გლეხებს საუფრო ურემში.

— კარგი რამეა ეტლი, — ფიქრობდა გზაში ეტლში გადაკმული არნო, მაგრამ მე მაინც ავტომობილი მიჩვევია ავტოს გუგუნიში ინდუსტრიული მაღის ცემა მისმის.

არნო სოფლად კარგათ მოწყობილი შეურნეობა აქვს და პერსპექტივებიც საკმაოდ ფართოდ აქვს დასახული. მართალია, ქალაქში ეს ამბავი არ იცინა, მაგრამ ასეც უნდა იყოს, რადგანაც ანკიტაში მან ეს პროცენტური პროლეტარათ გამოაცხადა თავი.


— როგორ ჯობია? — ფიქრობდა სახლში მისული არნო, — პირდაპირ

გლეხებში დავიწყო მუშაობა, არ ივარგებს, უკეთესია ადგილობრივ ორგანიზაციის წარმომადგენლებთან და მათი საშუალებით შეუდგე საზოგადოებრივ კამპანიას.

მართლაც, მეორე დღეს (კვირა გახლდათ) არნო ადგილობრივ აღმასკომის თავმჯდომარეს ესტუმრა.

— ამ მცირე სასმისით, — ამბობდა სადილათ ყანწ-მოღერილი არნო, — ვადიდებოთ მეგობრებო, სოფლისა და ქალაქის განუყოფელი კავშირი... სოფელი რომ არ იყოს, ქალაქი ვერ იცხოვრებს და მეორე მხრივ, უქალაქო სოფელი არ შეუძლია ცხოვრება. ქალაქი ტონს აძლევს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეს და ამ ინდუსტრიალიზაციის ტემპი ისე ხშიერია, რომ თვით ამ ყანწში ჩასხმულ ღვინის რაკრავშიც ისმის... მიუხედავად ყოველივე დაბრკოლებისა, ჩვენ უნდა გავნაგრძოთ სოფლის რეკონსტრუქცია და არსებული საწარმოო საშუალებები ახლებით უნდა შევცვალოთ. კერძოდ ეს შეიძლება ითქვას სასმისების შესახებ: რა არის ყანწი? იგი ძველი ფეოდალური წყობილების ნაშთი და როგორც ასეთი, იგი უნდა განიდევნოს ჩვენი სოციალისტური სუფრი. ან, განა სხვა სასმისები არ მოგვეპოვება? რამდენიც გინდათ: სვით ჩაისი კაქით ყანწის ნაცვლად, ჩვენი საკუთარი წარმოების ვაზებით — დახვსებული ჯამის ნაცვლად, ბროლიც დრადიკებით — დროშოქმული კოკას მაგივრად და სხვ.

განწირული



— კაცო, რავა ჩამოგიშვია ცხვირი? რაღაც უქეიფოთა ხარ!

— უბედურება მე დამატყდა თავზე: წუხელის კარტმა გამწმინდა დღეს კი — პარტიამ.

(ვ. აბზიანძე)

ქეიფის შემდეგ, როგორც დამტკიცებულია, თავი უმძიმდება კაცს და ამ ჩეთხვევებში გამოხატვის არც არსის თვით შეადგენდა:

— თითქმის რაღაც მძიმე ჩამიდეს ამ თავში, — შესჩიოდა არნო მეზობელ მასწავლებელს.

— „ტვინი თუ ჩასდეს, ხომ მოიკიდეს შენი მადლი“, — გაიფიქრა მასწავლებელმა და დაუმატა — არაფერი, გაივლის.

— რამდენი რამ მაქვს გასაკეთებელი ამ შევებულების დროს, — წუწუწუნებს არნო, — სოფელი, მართალია, რეკონსტრუქციის გზას ადგია, მაგრამ საჭიროა ამ გზის გააფხვა, რომ მოგვამავრე და ღარიბმა გლეხმა, საშუალოსთან ხელიხელ ჩაკიდებით შესძლოს წინსვლა. რაც შეეხება კულაებს, მათ სრული უფლება აქვთ ეკლებში გაეხლართონ.

აღმასკომის თავმჯდომარე მოწიწებით უსმენდა.

— დღეს სად ვართ დაპატიებულნი?

— დღეს საკრედიტო ამხ-ბის თავმჯდომარე გთხოვთ.

— სამოწინებო, თუმცა დრო ცოტა მაქვს... მაგრამ ესეც ხომ საზოგადოებრივ მუშაობაში შედის.

ერთი კვირის შემდეგ არნომ გადასწყვიტა შესდგომოდა გეგმის შედგენას საზოგადოებრივ კამპანიის ჩასატარებლად.

— უკაცმოთ რა უნდა გავაკეთო, როგორ შეიძლება სტიქიურათ მიუღებ გლეხობის საკითხს! აქ ყველაზე მეტად არის საჭირო გეგმაშეწონილება და პერსპექტივების წინასწარ დასავა.


დაიწყა საზოგადოებრივ მუშაობის გეგმის შედგენა, რასაც არნომ მონაწილად აქცევდა თავისი შევებულების პერიოდში. მართალია, უმთავრეს დროს იგი სმამი ატარებდა, მაგრამ „სმამა“ მაღალით შესარგები ღება რა სახეობაა? — ხშირად იტყოდა ხოლმე არნო.

— ეს გეგმა კი შევადგინე, მაგრამ ცენტრმა თუ არ დამტკიცა, არ ივარგებს, ისევე ჯობია ქალაქში წავიღო, მით უმეტეს, რომ შევებულება გამომთავდა, — გადასწყვიტა არნომ და...

„გამოეცხადოს სასტიკი საყვილური არნო მარნაძეს და გაირიცხოს საშფო უჯრედიდან, ხოლო ვანო ხრახნილად გამოეცხადოს მადლობა საზოგადოებრივ კამპანიის გეგმიანათ ჩატარებისათვის, — ასეთი იყო საშფო უჯრედის დასკვნა.

— რა უბედურობაა, საყვილურობა არნო, — ინდუსტრიალიზაციას ვიცავ, კოლექტივიზაციას თავს ვწირავ, რაციონალიზაციას ვლაპარაკობ, ელიტროფიკაციას მხარს უჭერ და ამათ საყვილურიზაციას მაინც ვერ გადაურჩი.

ტერსიბა.



— რა დაემართა ამ გაპირვებულ ანტონობილს, რომ ყოველთვის ხელით მიაგორებენ?

— აბა რა მოუვა! ხან ერთი ზორი და ხან მეორე. ჩააჯინეს შიგ ხოფერი... კაცმა ტრაქტორის წაყვანა არ იცის და ანტონობილს რას გაუფებს! (რ. კა—ძე).

ბეკო

— შეყო, ბეკო, შენი ლოდნა.

ახლა გმარებებს მისიც ცოდნა. ქალი ვარ და გულს მაქვს ნაკად, რომ არ მიშვებ აგარაკად! ღირდა, განა ლაპარაკად, შენ მიხედნა რომ არ გაკლდეს? მე ეს სიტყვები მაქვს ნაკად, მახდნის, ოფლად მწურავს, გულს მიდუნებს. თვალად, ტანად დიმიწუნებს, განა, ვინმე შენისთანა?!.. აი, ზაქრომ გააგზავნა უკვე თავის საყვარელი!.. გესმის, ბეკო, ეგ სახელი: საყვარელი, არა ცოლი! ნუ გგონია ჩემი ტოლი... ყელი მაქვს და როგორც ბროლი, შუბლი, ვით მინაქრის ველი, შუბლს ქვემოთ კი—ორი გველი, ქვეშ მაყვალ, ორი მწველი, ორი თვალი საკვირველი... ტუჩი-მუჩი, ვით ბუტყუჩი ქორფა ვარდი, გინ ყაყაო... გაახილე თვალი კაცო! რაღად გინდა ჩემი შფოთი? ორი მკლავი. ორივე შოთი! მკერდი, როგორც ორი ბუტკო!.. საყვარლისთვის ზაქროს უთქომს,

რომ „წიწები“, ამისთანა შერევს, იყვეს გინდ სატანა! რაღად გინდა გამოცანა? ზაქრომ მაინც გააგზავნა საყვარელი და არა მე.. ყოფნა მე შენ ჩამაშხამე... გული მე შენ მომიკალი... მაშ, არ ვიყვე მაშინ ქალი, თუ... თუ...

— სსუ... სსუ, გენაცვალე: აბას-უმანს გიშვებ ხვალე!

— გეხვანხვალე...

გექვანქვალე...

-- ნუ მაწვალე..

ნომითვალე!.

ნოსათვლელი ფული ბეკოს, აბა, სად აქვს, რომ ცოლს ეყოს!.. ვინ გააძღებს ფულით კესას? ვინ გასტენის ჯერ იმ ქესას, სიდანც უნდა ამოიღოს, რითაც კესა გულს დაიცხრობს, გულს, ხარბსა და გულს, მანკიერს, და ნოიკლავს სურვილს, ძლიერს, აგარაკზე წასვლით, მისვლით...

შეჰდგე კი ის იქვე ნისლით, ზუქქნარით თუ წიწვოვან ტყით, ყრუ ადგილით...

ერთი სიტყვით,

ისარ გებლებს

საამუროად:

ხელს გაუყრის ვინმეს ძმურად:

ეს—წამყოლად, ის—მეგზურად,

ეს დედოფლად, ის მეფურად,

უკაცრავად, თქვენს წინ ნურად,

და მე ვიტყვი ჩემებურად:

გაღსკიევა კესა ფურად

შემდეგ კუროდ

შეცვლილს ძმობილს!

დანამზადს თუ

გამოცხობილს

ის წაუღებს

შემდეგ ბეკოს,

ძიელ ზამთარს რომ

ლხენად ეყოს!

ნაგრან ბეკოს, ეს ამ თავით

ვით ესმოდეს?

უნახავით

ვის ნოუკლავს მზერის უინი?

კესა ბეკოს თვალის ჩინი

ულალატებს, განა ქმრუკას?

ასე სიტყვას ვინ გადუქრავს მას, კესათი განატაცებს? ეგ სისუსტე მამაცაცებს ახრევინებს ქალთა წინ ქედს ბეკოც თავის უმადლის ბედს! ყოფნის ჯარაც ასე ბრუნავს... ახლა ბეკო ფულზე ზრუნავს:

ჯერ ჯიბე სულ

გამოფერთხა,

დაბარჩენის

მოახერხა,

როგორც იყო,

შექურჩება!..

გულს გონება, ეურჩება,

მაგრამ, სანამ გული რბილობს,

ბეკოც ცდილობს

და ცოდვილობს...

კესაც უკვე ემზადება:

აქ აღება...

იქ—დადება...

სანატრელი, წუთიც სდგება,

შეყრის კი არ, —

განშორების,

მატარებლის გაგორების

და გაფრენის,

ვით სიზმარი...

მიდის ცოლი...

რჩება ქმარი

და ქალაქის

სიტყვ, ძნელი...

თეთრ ხელმანდილს, უქნევს ხელი,

ცოლის ხელი, ციქქნა, ფუთნა...

ეჰ, შეძლივას მე რა ვუთხრა,

თორემ ქმარსაც უნდა წასვლა...

მხოლოდ ჯიბე ორს ვერ გასწვდა!

თუმცა ორი...

მეტეორი...

ესე იგი, კესოს კურო...

ოი, ბეკო,

უბედურო!

შენ არ იცი,

თორემ გიგო

იმ ვაგონში სწორედ იყო,

სადაც კესა მიაცილენ...

მწუხარების მონაწილე

ერჩები შენი თითქმის დღემდე.

ვწუხვარ, ამ ჩემ სინდისს ენდე.—

მაგრამ რა გქნა, რა ვიღონო,


რა წამალი მოვიგონო,

რომ ჩაგიქრო

გულში ცეცხლი,

სანამ გიგოს

თვით არ შესცვლი?! ყაყიტა,



ჩემ სადა ჩემი ცოლს სიხარულის სა ზღვარი არ ჰქონდა. ბავშვები ჭიანჭვე- ლებსავით მიეხიენ გადასატან ხარა- ხურას. ზოგს სკამი მიქონდა ფეხმო- ტიხილი, ზოგს — ქოთანს, ზოგს — მაგიდა.

ორი საათის განმავლობაში ახალ ბინის კარებთან ვიდექით და ნივთებს ვათვალიერებდით რომელი შეგვეტა- ნა შიგ.

სკამები, როგორც იქნა, შევიტანეთ კარებში. მაგიდას ორი ფეხი მივატე- ხეთ (ისე არ შეეცა). ქვაბი ცოტა ჩა- გვჭყე და შევავდე. ზოგი რამეები შე- ვავიწროვე — შემოვავიწროვე და შე- ვიტანე, მაგრამ ჩემი ცოლის ნაშთი- ვი შკაფი კი გარედ დავტოვე. მისი და უწლეულად შეტანა შიგ ყოველად შეუ- ძლებელი გახდა. (ვინ ჩიოდა შკაფს, როცა ოთახი ვიშოვეთ და ისიც ახალ აგებულ სახლებში).

მეორე დღეს მოვიყვანე დურგალი; დაგაშლევინე შკაფი და ისე შევიტანე ოთახში.

— ეხლა მოვითქვამთ სულს, — ამ- ბობდა ჩემი ცოლი, — სტუმარი, რომ გვესტუმროს, ადგილი გვაქვს დასაწო- ლს; ეროვნულდ სახით სხვის ცოლს არ ამოუწობი გვერდში.

— ღმერთი გიშველოს! შენი სტუმ- რები კი ვიცი მე. ქალო, სტუმრებისა- თვის სწავლი შენ თუ ბინა რომ არ გქონდა? შენმა მზემ აქ სტუმრებს მო- ვუყარო თავი. სხვისი საქმელი კი არა, ჩემთვის არაფერი მაქვს.

— რაფერ ლაპარაკობ, კაცო? ჩვე- ნები, რომ მოვიდეს, ხელს ვკრავ და გაივადებ თუ? ბინა იმისთვის მაქვს, რომ სტუმარიც უნდა მოვიდეს და მტერი — მოყვარეც... ერთი „უმივალნი- კი“ უნდა გამოვიტანო ნისიით მუშკო- ბიდან! — დაასრულა „ჭკუის სწავ- ლება“ ცოლმა.

— ხომ არ გადაიჩიე, დედაკაცო? რა ეშმაკათ გინდა „უმივალნიკი“! მაგა კი არა, შალის შარვალის ხანჯუმა ტყა ვი გამაძრო ქვეშ რომ არაფერი მაქ- ვია!

— გლახა მუღამ მასე იქნება, შენ თუ გიყურე, მუღამ ასე ვიქნებით.

— სულ ერთია, ქალო, ჩვენი ოთა- ხის კარებში მაინც არ შემოეტევა და გარედ ხომ ვერ დადგამ! ეს ბინები პროლეტარებისათვისაა გაკეთებული. შეგიძლია შემოიტანო: ქილოფი, ჩაი- ნიკი, ჭიქები, რამდენიმე ღერი ფიცა- რი ლოგინისთვის და გათავდა. შკაფი და ასეთი გარდნობების შემოტანა აქ არ შეიძლება. ხომ ხედავ კარებში არ შემოეტევა.

— შენ ჯავრი ნუ გაქვს, მე მოვახე- რებე ყველაფერი. დაუშლელი ქვეყა- ნაზე არაფერია. რაც ისეთი იქნება არ შემოეტევა, დავაშლევინებ და ისე შემოვიტან! — სთქვა მან.

გავარდა ხმა ზარბაზნით ყველ- გან. მთელმა ბათუმმა გაიგო — ბინა, რომ ვიწოდებ. მალე ჩემს სოფელშიაც მისწვდა. დაიწყეს წერილებმა დენა, უხაროდით არა მარტო ჩემს მოკე- თიებს, ნაცნობებსაც კი.

„მომილოცავს, შვილებო, ახალი ბინა, — მწერდა ჩემი სიმამრი, — ბე- დნიერი იყოს თქვენი ჩასახლება შიგ. თქვენს ჯვარისწერაზე უფრო გამიხა- რდა მაგ ოთახებში გადასვლა, რაცაც მოვიცლი, მაშინვე ჩამოვალთ მე და დედაშენი. ამდენხანს თუ უბინაობა გაწყუბნებდათ, ეხლა მაგისაგან უზრუნ- ველყოფილი ხართ“.

ყველას გაგვიხარდა ეს წერილი.

ბავშვებს კი განსაკუთრებით. იმას ჩა- მოსვლის დროს ჩვენ მხიარულები ვართ, იმიტომ, რომ ხელცარიელი არ მოდიან: ხაჭაპურები და რაღაცები სულ მოაქვთ. გარდა ამისა, ჩემი ცო- ლის შიში აღარ მაქვს თავის მშობლე- ბთან ის თავზე მიეკიდება, ძალიად მაქ- მევს საშემელს, თუმცა მეორე დღეს ერ- თი ათად გამამწარებს.

მართლაც, სიმამრი და სიდედრი გა- ესიბოლი ხურჯინით მოგვადგენ კა- რზე.

— ოჰ, თქვენ გენაცვალოს ჩემი თავი. — დაიძახა ჩემმა სიდედრმა და გადაგვეხვია.

— ბებიე, ბებიე. — შემოესია ბავ- შები.

— არიქა, მიშველეთ! — მოგვესმა ამ დროს ხმა.

გავიხედეთ და დავინახეთ: კარებში სიმამრი გაკვეხებულიყო. თურმე რო- ცა დავინახეთ, გამოქცეულიყო; შევი- რბენ, ბაღებს მოვხვდებით. რა ეგონა თუ კარებში ვერ ვავეტეოდა და შიგ გაიჭედებოდა. ჩვენ კი სულ დავავი- წყდა, რომ ის ჩვეულებრივ ადამიანზე ცოტა სქელი კაცი იყო და თანახმად „ახალ სააღმშენებლო პრინციპისა“, ასეთი კაცის შემოსვლა აკრძალული იყო ჩვენს ბინაში.

დავაფრინდით ხელებში, ფეხებში, ნახევარი ტანსაცმელიც შემოვანიეთ, მაგრამ თქვენც არ მომიკვდით. დავე- ტაქეთ ისე ყველამ ერთად წინიდან და გამოვავდეთ გარეთ; მივუტანეთ სკამი და დავაჯინეთ. ჩვენ კი შიგნი- დან დავაჯექით კარებთან და დავიწ- ყეთ მუსაფი.

— კიდევ იგი ძველი ოთახი მერ- ჩია, შიგლებო, თქვენთვის ამბობდა ის გულდაწყვეტით.

სადილი მას გარედ მივართვით. ჩვენ სახლში დავჯექით.

იმ დამეს ძალიან გვინდოდა მისი დარჩენა, მასაც და ჩვენაც მაგრამ სად უნდა დაწოლილიყო? ამიტომ აიბარგა და წავიდა. ის აწი ჩემი სტუმარი აღარ იქნება. ან როგორ იყოს, როცა სახლ- ში ვერ შემოვას!

ბ. ოზოლი.

საჭირო ყოფილა



— ეს ჩვენი იაგორი საითკენ მიჩნის ნეტავი ფულით ხელში?
— ხარი მოუკვდა და დაზღვევის ფული ახლა უნდა გადაიხადოს.

იგაპი

— „შეგეწიოს სამას სამოცდა ხუთი ანგელოზი“—ო, იტყოდნენ ძველად და ეს ლოცვა ითვლებოდა ერთის მიერ მეორისათვის საუკეთესო დახმარებად, საუკეთესო სურვილად, მასთან ისეთი სურვილად, რომელსაც რეალური დახმარების ფასი და მნიშვნელობა ჰქონდა.

მართალია, არავინ იცოდა და მით უფრო დღეს არავინ იცის, თუ რამდენია საზოგადოთ ანგელოზი, გინდ წმინდანი. მაგრამ რატომღაც სამას-სამოცდა ხუთი წმინდანის მიმადლება ითვლებოდა საუკეთესო მიმადლებად. და არც უბრალოდ.

სამას სამოცდა ხუთ ანგელოზს ქვეშ იგულისხმებოდა, ალბათ, სამას სამოცდა ხუთი დღე.

ჰო და აი, ვინც კი ღვთის საგულისხმო და სასურველი სიტყვებით გისურვებდა სამას სამოცდა ხუთი ანგელოზის წყალობას, ეს უკვე ნიშნავდა იმას, რომ ყოველ დღე შენი ყოველდღიური ჰაპანწყევტის დროს დამხმარედ და მფარველად შენ გველინებოდა ვითომ თითო ანგელოზი.

თითო ანგელოზი კი დღეში, ძველი ქრისტიანული მორალისა და წესის თანახმად, იყო უდიდესი დამხმარე ძალა, უდიდესი იმედი და ნუგეში, უდიდესი გარანტია იმისა, რომ შენ შეგეძლო შენი საქმეების გულდამწვრთვულად კეთება. რაც არ უნდა მძიმე ყოფილიყო ეს საქმე.

ძველს დროში არსებობდა კიდევ ერთი ანდაზა: „იქცეოდეს შენსი, შენდებოდეს — შეგწიე“—ო.

შეწევნისა და შემწეობის შესახებ ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ ზევით საუკეთესო შემწევნა ეს იყო სიტყვით დათავლვა და დალოცვა: „შეგეწიოს სამას სამოცდა ხუთი ანგელოზი“—ო. ეს იყო შემწის მხრით ყოველად უსასყიდლოდ გაცემული შემოწმება, ყოველგვარი ხარჯის გაუწევლად. შემწეობის მიმღებისათვის კი ეს იყო საუკეთესო შემწეობა. რაც შეეხება რეალურ სარგებლობას ამ შემწეობისაგან ამაზე დამჯერარიყენ შემდეგ და ეტეხათ თავი შემწეობა მიღებულსა და ანგელოზებს. შემწეობის გამცემი კი ამ შემთხვევაში არაფრით არ აგებდა პასუხს.

და რამდენი კეთილი საქმე არ დაწყებოდა, ალბათ, ამ შემწეობის იმედით წარსულში არ ვიცო, ყველა ისინი კეთილად ახდენ და დაგვირგვინდენ თუ არა. ვიცი მხოლოდ, რომ მართო (ცხონებულ ბებიანებს ასეთი შემწეობის გაცემა დღეში მაინც ათის კი მოუწევდა, თუ მეტის არა. მაგრამ მე არ მახსოვს, რომ თუნდაც ერთი ასეთი შემწეობის მიმღების მღვდმარეობა ორნაგ მაინც გაუმჯობესებულ იყვნენ ამისაგან.

მთელ დღევანდელ ბურჟუაზიულ სამყაროს რომ ვითვალისწინებ, ძალიან მაგონდება ბებიანების დროინდელი ხანა.

აიღეთ, მაგალითად, ბურჟუაზიული დიპლომატია. ყოველი ნოტა თუ მიმართვა ერთი სახელმწიფოს წარმომადგენლისა მეორის მიმართ უეჭველად თავდება სიტყვებით:

„მიიღეთ, ბატონო მინისტრო, ან რწმუნებულო, ჩემი თქვენდამი საუკეთესო სურვილი და პატივისცემა და სხვ.“

სიტყვით ასე, ხოლო საქმით კი მოითხოვს უკანასკნელისაგან ან სადმე საზღვარის შესწორებას, ან ჯარების საზღვრიდან ცოტა უკან დაქანებას, ან სადმე მიყენებულ ზარალის ანაზღაურებას, ან ვალს, ან ვაზს ერთი სიტყვით, „სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა, რუა უღევს დიდი ზღვარი“.

ასე სდგას, ბურჟუაზიულ დიპლომატიის გავებით, ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოსათვის კეთილი სურვილის, იგივე ძველი ყაიღის შემწეობისა და თანაგრძნობის გამოცხადების საკითხი.

ასე ეწევიან და ეხმატკბილებიან კაპიტალისტ - იმპერიალისტები ერთმანეთს კეთილი სურვილების გამოცხადებით. რაც, ჩემის გაგებით, ძველ ქრისტიანულ ლოცვას: „შეგეწიოს სამას სამოცდა ხუთი ანგელოზი“—ო დილათ არ ჩამოუფარდება. მით უფრო თუ გაითვალისწინებთ იმასაც, რომ საპას სამოცდა ხუთი და ზოგჯერ ექვსი დღის განმავლობაში ყოველი ასეთი სახელმწიფო მეორე სახელმწიფოს მართლაც უთვალთვალავს მფარველი ანგელოზებით, თავისი რწმუნებულებით, დიპლომატებისა თუ ჯაშუშების განჭირებით თვალთვით.

ასე ანხორციელებენ იმპერიალისტები ზევით ჩვენ მიერ მოყვანილი ძველი ანდაზის მეორე ანუ უმთავრეს ნახევარს: „შენდებოდეს — შეგწიე“—ო.



ბუკის-ცინე (გუგრია)

ამას, აქ რომ მკიდა იცნობთ?... არის ნავანი. უჩემოდ ამ სოფლებს არა აქვთ გახსენი.

—(რატარა)

რაც შეეხება ამ ანდაზას, პირველ ნახევარს: „იქცეოდეს — შეგწიე“—ო ამის ცოცხალ მაგალითს უკვე დავხმავთ ყოველგან, დედამიწის ყოველ კუთხეში, სადა კი იმპერიალიზმი ფეხს შესდგამს.

აიღეთ, თუ გნებავთ, ჩინეთი. მას შემდეგ, რაც ამ ქვეყანამ „ქცევა“ და ნგრევა დაიწყო, მას შემდეგ, რაც რევოლუციით მონაპოვართა განთავებას შეუდგენ ჩან-კაიშ—ჩან-ძო-ლინები და ლი-ტი-სინები, ვინ არის, რომელი იმპერიალისტური ქვეყანა, რომ იგი თავის ჯარებით ჩინეთს არ შესეოდეს?—

ერთად ერთმა საბჭოთა ქვეყანამ დასთმო ამ სახელმწიფოში ყოველგვარი ძველი პრეტენზიები და თავზიანად დაუბრუნდა ისინი ჩინეთს იმ იმედით, რომ, თუ ვინიცობაა, სხვები არ მიზამდებიან მის ღირსშესანიშნავ მაგალიტს, ის, ვინც ეს თანაგრძნობით სავსე დახმარება მიიღო მისგან, ესე იგი, ამ შემთხვევაში ჩინეთი მაინც დამახსოვრებდა ამ სიკეთეს და მადლიერ მაინც იქნებოდა ამ თავისი მწყალობელისა.


თუ როგორ გაამართლა ჩინეთმა ეს იმედი, ამაზე მე აღარ შევჩერდები. მიწას ბევრი შავი უმადურობა უზიდავს წარსულში და ალბათ, მომავალშიც ბევრის მოუწევს ასეთები ზიდვა. უკეთესს არც არავინ მოელოდა და არც არავინ მოელის ჩან-კაიშების ჩინეთიდან.

მაგრამ ერთი კი უნდა იცოდეს ყველამ, ვისაც „შეგწიე“ ბაცილები აწუხებს. შესევა მეტის მეტად ძნელი და სახიფათოა თვით შესევის მსურველისათვის იქ, სადაც არა მარტო შენება, არამედ უდიდესი აღმშენებლობა მიმდინარეობს. სადაც ყველა ერთი აზრით, ერთი საქმით და ერთი ინტერესით არის გამსჭვალული, სადაც საერთო საქმეს ასეოლ მილიონობით იწევიან რეალურად, საქმით და არა უწინდებული ფუჭი სიტყვით.

ასეთ ქვეყანას შეიძლება რომელიმე ევრაგმა მართლაც „შეესიოს“, თავის დაქველვულ ოჯახში ამ „შესივისა“ და განადგურების მოწამე და შემხედვარე, ის შესაძლოა იმდენად გაბოროტდეს, რომ გაბედოს და „შეესიოს“ იმას ვინც მხოლოდ შენდება და მაშასადამე, შესევის ობიექტად არას შემთხვევაში არ გამოდგება. მაგრამ ამ შემთხვევაში ერთი ანდაზაც კიდევ უნდა გაიხსენოს ამ უკანასკნელმა ამ თავისივე თავისთავის სახიფათო ნაბიჯის გადადგმის წინ:

„მელა საქურდლო წავიდა: ტყავი შესტია“—ო და თუ ქურდოლ სიწოწესა და მელურ გაიდგერობაში იმპერიალისტური ავანტიურისტები ჩიკოლებრივ მხეკებს არ ჩამოუფარდებიან, არც მათი ტყავი იქნება უფრო უზრუნველყოფილი, ან პატივცემული და დაზოგვილი ვისიმე მიერ, ჯიდრე საქურდლად წასულ მელას ბეწვიან ქურქში.

ონისიმე



ჩვენი თემის რამე-რუმე

გომი (ქუთ. მაზრა)

ტარტაროზო, ჩემო ძმობილო, უნ და ვთქვა გომის ძვირი! უსაქმურა თავმჯდომარეს ჩამოუშვია ცხვირი. თუმცა ამ თემს არ უარგა არც გზები და არც ხიდი, მაგრამ თავსაც არ იწუხებს თავმჯდომარე ჩვენი ფლიდი.

და ერთხელ მან ძალზე მთვრალ-მა მოინახულა დაფნარის კლუბი, და რომ ვერ ნახა თავისი შავთვალა წარმოდგენისას, ასტეხა ჩხუბი.

გაიმართა ხელჩართული ბრძოლა. თავმჯდომარე დაფრიალებს რო გორც მოლა, აკუროთებს: გოჭებს, ყველს და ხაჭაპურებს.

აღიოშა 7 წლედის გამგე უხვევს ხალხს თავებს გაქყლაბულებს.

არ შეიძლება: ქეიფი, ღვინის სმა, გვარტი, თვითონ მიუჯდა სუფრას; რათ აქვთ სხვისი დარდი, დაჯდა, დაიწყო: საღვთგაძელო, მრავალე-მიერი, (გამგეც გვერდს უმშვენებს მკლავებზე). ჭიჭით ჭიჭას ერთ მანეთს ურტყამენ, მაყურებელ გლეხობას სულს უხუთავენ. (აბა რას მი-

ქვია გლეხობის დროსტარება! თავ-მჯდომარეს მოუხდება ქვრივებთან ნეტარება).

ღვინით გაგიჟებულთ თვალი მოჰკრა დამსწრემ შეურაცყოფა თავზე იდო ღრამწრემ.

ვერავინ იტყვის, რომ თავმჯდომარეს არ ჰქონია შნო, ადგა და მოსტეხა მან ბეჟოლის შტო. გადუქნია ზურნას! — აბა ჩქარა გადი მაღე ზიზე, ზომ ხედავ შუა დღე! აღმასკომში ცხვირებ — ჩამოშვებული გლეხები მიცილიან ფეხზე. ჩქარა, გალუსტ, გადი მაღე ამ კიბეზე, თორემ სახრის გადაგაწვნი მაგ დაღრამულ კბილებზე.

მაღლა ზურნა აჰყიპინდა. აღიოშა მღერის! ნადია (და თამარაც) თვებებს მათ უშტერის.

გამოცხადდა სამსახურში თავ-რე მთვრალი, საგზოთ წაიღო ქათამი რგვალი. და მეც მოვიმარჯვე დასა-რტყმელათ სახრე, რომ წმენდის ღროს გაუწითლდეს მისი ლოთი სახე.

დალაღე.

პირველი უმუშევარი: ბარიშნა, აღარ მომიწია ოჩერედმა. გამატარე, შენ გენაცვალე. მოგკელი სიმშლით. დღეს ლუკმა არ ჩასულა ჩემ პირში.

ქალიშვილი: — თუ მოგშვიდა. წადი, ისადილო ოა მოდი. ჩემ ხარჯზე ხო არ გაქმევთ საქმელს? ჩადოთ, ბოშო, ფანჯრიდან. ერთი დამანახვეთ ჟიან რა ხალხია?

მეორე უმუშ. — ბარიშნა, იქონიე შეტრალე და დროზე გამატარე.

ქალიშვილი: — რა გააწყლო გოლი! შენ ერთი დღეა აქანა ხარ და მე კი ყოველდღე აქ ვარ, მარა არაფერ მიტრალეს. ნუ შემიწუხებთ სული. იქნა ხიდათ რამდენი ხალხი გაატარე? აბა, ხელები სულ დასვრილი მაქის მელნით: ამის დაბანას ერთ საათს მოაუწდები.

მეორე ქალიშვილი: — ოხ, რა სიკბილა დიოს. როდის წავალთ აქედან? თაიფი ამ ოთახში.

უმუშევარი — გამიშვით, კაცო, ჩხედა ალო გაქტადე, სამუშაოზე უნდა გავიდე საღანოზე და დამავინდებ.

მეორე უმუშ.: — შე მამაცხონე-ბულო, სამუშაოზე თუ მიდიხარ, რა-ღა გატარება გინდა?

— მაინც გავტარდები, თორემ აქედან სამუშაოზე ვერ გავალ. ამათ ვინ კითხავს. საიქიდან უფრო მაღე გამოგიახებენ, ვიდრე აქედან, თუ ვინ-მე გყავს ან ტენიკი ან სეკციის გამგე, ან მეტაბელე ნაცხობი, მეტი არაფერი გინდა. (მოდის შრ. ბირჟის გამგე კოლია).

— კოლია, გვიშველე რამე!

კოლია: — ღეხით უკან, ღეხით. (წედის, ეუბნება მოსამსახურებს) კი დევ მუშაობთ? კარგია, კაცო, გეყოფათ ამდენი მუშაობა. წავიდეთ ეხლა და სანამ საღვთრამდე მივიდოდეთ, სა მსახურის დროც გათავდებთ.

მუშევარი: — გამიწყვიტე მიწა და ეგ არი ბარიშნა! ამდენ ხანს ტყუილა მაცდევინე?

ქალიშვილი: — ამ ერთს გავატარებ, არ მომისვენა: წერა კითხვა იცია?

— კი.

— რომ მოგწეროს კაცმა წერილი, წაიკითხავ?

— კაცმა რომ მომწეროს, რა ჯანდაბათ მინდა? ქალი თუ მომწერს, შევიწუხებ თავს და როგორმე წავიკითხავ.

— განათლების დონე.

— დაბალი.

— (ამხანაგ ქალიშვილებს) — უყუ რე სად მოგტყუვდი! მე ეს საშუალო ცოდნით მეგონა ისე ლაპარაკობდა.

კოლია: — რაღას უტყდი? მუშაობა შეწყვეტილია. მოდი თუ ზეგ ან იქ კვირაში (გეტყვენ ფანჯარას).


ძგუნტი.



„საკვირველება“

 გამოსვლის
პროგრამა

(ჭიათურა, 1-ლი მაისის ძაღლი)



— არ გიკვირს პარტიიდან რომ გამომრიცხეს?
— მე ის მიკვირს, ამდენხანს რომ არ გამოგადღეს.

(კირსაფ.)

ჯესტაზონი

შევეცქერი აფიშას, და ვფიქრობ: სადა ვარ?!
ვით გავჩდი? რა მინდა? ან რა მსურს პარიზში?!
თუ სიზმრათ მეჩვენა... ტარტაროზ! დამიცავ!
სად გაქრა საბანი? რა იქმნა ბალიში?!

ბოლოს კი დავრწმუნდი სად ვიყავ; თურმე აქ —
შორაპნის სადგურზე ვკითხულობ აფიშას.
თუ კარგათ გვეყოლა ჩვენი „ჟენადელი“,
მახინჯმა იკითხოს, ლამაზებს რა უშავს.
გამართავს „სალამოს“... შეკრიბავს ლამაზებს
ეძახის ისმინეთ- „ვეჩერზელ“ კონკურსი
ლამაზი ქალისა! ვისაც გსურთ მობრძანდით.
(ეს გახლავთ „რეკლამა“ — პარიზის ფოკუსი).
და ეს ამ გვარათ, გლეხის ქალს აბა იქ
ახლოს ვინ მიუშვებს გარუჯულს მზისაგან!
ბევრიც, რომ ეცადოთ, ამჟამათ ჟენადელს
ვერ იხსნიოთ, მერწმუნეთ, ტარტაროზისაგან.

შაკო.

ჩოხატაური

ამ ჩვენ ექიმ ივანეს ნეტა სად უსწავლია?
საექიმო ცოდნა ხომ, არ ითქმება ასეთი!
კაცი სულს რომ ღაფავდეს, ამისი რა ბრალია.
არ გასინჯავს თუ არ ავჭვს მისთვის ოცი მანეთი.

აქაური გლეხკომი კი ყოფილა ბრძენია;
კვირაში ღლეს მუშაობს ამერიკულ მანქანით,
ავტო მეურნეების ფულით შეუძენია,—
და ამიტომ ხშირია აქ ამაზე ჭაქანი.

ამ პარტიის წმენდაში მოეცო თვალეზი,
ზოგმა მიწა იყიდა, ზოგს შესწამეს ავობა.
ყველა აბორტს იკეთებს, აქაური ქალები.
უკვე ვხედავ გვარდება მომავალი თაობა.

აქ ჩინეთის ამბებზე მრავალ გვარი ჭორია,
ზოგს გონია, რომ უკვე გამოცხადდა ომია.
მკითხავენთან ზოგიერთს მიჰყავს თხა და ღორია.
გააძვირეს ამ ბოლოს გაცხვილი ღომია.

ძნელოდლი.

მუშა.

„შეჯიბრი“



ყველას თავისებურად ესმის შე-
ჯიბრი.

მაგ. ბორჯომის წითელ (მუშკო-
პის) სასადლოში გამგის მიერ მუშა-
ობის ისეთი „სისტემა“ ყოფილა შე-
ქმნილი, რომ მოამსახურებელს მათ-
დაუნებურად გაძოწვეული ჰყავთ
ერთმანეთს შეჯიბრის.

შედახარტოვებული სასადლოში.
ყარგა ხნის შემდეგ მოგიტანებენ
საქმელთა სიას და მაშინვე გაქრე-
ბიან.

მოუხედედ იმისა, რომ „ენის გა-
სატყუარ“ სახელები ჰქვია საჭმელენს,
თქვენ მაინც ზეპირად სწავლობთ
მათ, რადგან „მენიუ“-ს რამდენჯერ-
მე გადაიკითხავთ მოსამსახურის „მე-
ორედ მოსვლამდე“.

ცა პირს აღებს — მოდის სხვა მო-
სამსახურე და გეკითხებათ:

— რას ინებებთ?

აძლევთ დაკვეთას.

მოდის ის მოსამსახურე, რომელმაც
პირველად საჭმელების სია მოგაწო-
დათ.

— აბა, ხომ ამოარჩიეთ? რას მიირ-
თმევთ? — და თანაც დანა-ჩანგალს
აწყობს სუფრაზე.

ჩვენთან უკვე იყო სხვა მოსამა-
ხურე და...

— როგორ თუ იყო?! — ამბობს გა-
ბრაზებით და მიდის დერეფანში სამ-
ზარეულოსაკენ.

— რა უფლებას პრავეა გქონდა
შენ, რომ ჩემს მუშტართან მოიღი? —
თმის ყვირილი.

ყვირილს ჩვეულებისამებრ მოყვება
გინება, გინებას — მუქარა, რომელიც
აუღრ-ზაურში გადადის, ხოლო ეს უკა-
ნასკნელი გარტყმითა და ჩხუბით თა-
ვდება.

— დავიწვი... მიშველეთ! ცხელი ხარჩო გადამასხა თა-
ვზე! — ჰყვირის ერთი.

— აბა, რა გეგონა, შენ რომ მუშტარი წამართვი! აწი
ხომ ისწავლი ჭკუს?

იქ, კუთხეში, ორი მოსამსახურე ქალი ერმანეთს აგი-
ნებს და თმაში ეჭირავენ:

— უი, შე მკვლარო შენა! რა გინდოდა შენ ძემს მუშ-
ტრებთან? ნუ მართმევ მუშტრებს, თორემ რო გამოვალ
მოთინებიდან, ამ „პაღოს“ ზედ ცხვირზე მოგაფშვნი
საინებიანად! — და შემდეგ შეეკითხა მოსადილეს — რას
მაირთმევთ?

— ბატონო, სულ არ ვისადილებ, ოღონდ თქვენ ნუ
ჩხუბობთ!

— ეს არაფერია! აქ ყოველთვის ასეა! — ანუგეზა ძველ-
მა მოგარაკემ ახალი.

აი, ავტო ერთდროულად მოიტანა ორმა მოსამსახურემ
სადილი.

— შენ აქ რა გინდა? — სიტყვა სიტყვაში გაუცვალეს
ერთმანეთს და, ვინ იცის რა მოხდებოდა, რომ შეშინებუ-
ლი მოსადილე მაშინვე არ გაპარულიყო.


არის ერთი მოსამსახურე, შუა ტანისა და ხნის. მას რა-
ტომღაც არასოდეს არა აქვს ხურდა:

— ჩემზე დარჩეს, არა უშავს!

გამგე კი თავს ასე იმართლებს:

— მაგიდები არ არის განაწილებული მოსამსახურეებ-
ზე. მათ პროცენტები ეძლევათ და ამიტომ ერთმანეთის
ჯიბრში არიან.

„ვიზინტი“.



კბილეზი

საქმე ეხება ორ კბილს, ორ სალ-
სალამთ და ჯანსაღ კბილს, რომლე-
ბიც მსხვერპლად შეიჭირა ჩემმა „სა-
აგარაკო გატაცებამ“.

ყველა ჩემმა ნაცნობმა იცის რომ
მე და ანტონოვისაგან შორსა ვდგე-
ვარ, პირიქით, ჩემი მეუღლე ყოველ-
თვის „ენოფობს“ მეძახის, (რაც მი-
სიგნურად ქალების მოტყუილეს ნი-
შნავს, რასაც ვერ ვგეგმავ).

მაგრამ რაკი აგარაკზე მოგზავნი და
ისიც მარტო, იგულისხმება, რომ ჩემს
ქულის დახურვაც, ე. ი. აქ მეუფ
სხვა (კოლეგის „გართობა“ და მათ-
თვის დანტაცება, რომ ცხოვრებას
კიდევ აქვს აზრი და მიზანი.

აი სწორედ ეს „აზრი და მიზანი“
გადაიქცა ჩემი კბილების დაღუპვის
მიზეზად.

მე სულ რაღაც ორი თვის შეგუ-
ლება მქონდა, (ამხანაღ მეტი არ მო-
მცეს ნაწილმა ექიმებმა—დამზოვე
სალაროდან) და ეს შეიბოლოდა სულ
სიმშრდეში უნდა გამეტარებინა.

ჩემი ავადმყოფობა ჯერ კაცს არ
გაუგონია, მაშასადამე, დამზღვევ სა-
ლოროდან ხანგრძლივი შეგულების
მიღების უფლებაც მქონდა—ჯერ
ერთი იმ ტომ, რომ იქაური ექიმის
უპრავლობა ჩემი კაი ნაცნობებისა-
გან შესდგება და მეორეც იმიტომ,
რომ აქ ნამდვილ ავადმყოფებს ყო-
ველთვის უარს ეუბნებიან შეგულებ-
ის მიცემასზე, ამ შემთხვევაში კი, ცხა-
ლია უპრავლობა ჯანსაღ და ნაცნო-
ბი ადამიანის მხარეზეა.

ამბულატორიაში ჩვენმა ნიკომ შე-
მამოწმა (უფროსი ექიმია) ამხედ-დამ-
ხედა, მასუხტა, მიკაკუნა და ბოლოს
საყვედურით მოთხრა:

— ბჭო, შე ოხერო, ფილტვებზე
ხარისა გაქვს, გული კამეჩის, ნერვები
ჰიპოტონიის, არაფერი გტკივა და
რა სახაზი გამოგინახო საექიმო კომი-
სიაში გასაგზავნად?

— მაგან უკეთესი სახაზი რაღა
გხდება, პარადპირ ზოლოდოგურ მდგო
მარცხენაში ცოფოდილარ კაცი, მაშა-
სადამე საჭიროა ხანგრძლივი შეგუ-
ლება, რომ ისევ ადამიანად გადავიქ-
ცი— ვოპასუხე მე.

დანიშნულ დროზე კომისიაში გა-
მოვყავდი. შემოწმების შემდეგ ყვე-
ლამ ყოველმხრივ ჯანმრთელად
მცნო.

— რას ბრძანებთ, მღუპავთ კაცს?
მე ანა და ამ სენით ვარ შეპყრობილი
(ნიკოსაგან ნასწავლი ტერმინი დამა-
ვიწყდა, მაგრამ დავასახილე რაღაც
ლათინურ სიტყვად, რომელიც ორ-
სულაობას ნიშნავდა) და ერთი სამიო-
დე თვის შეგულებით დანიშნულ რომ არ
გომეყო. ხომ ყველს გამოჰყრა იქნება
ჩემთვის?

ჩემმა სიტყვამ საერთო ხარხარი გა-
მოიწვია.

— ნოქალაქე, თქვენ ოხუჯობთ?
— ახლა ხანდელი ქსოვილიც იშვია-
თად ორსულდება და თქვენ სამაგი-

სოს რას ატყობთ თავს?

საქმე იმით გათავდა, რომ ნაცნობმა
ეჭიპა ენორე ხაცოვს გადაუტო-
ხლა, ენორემ მესამეს და ბოლოს
შესაფერისი სახელწოდებაც გამოიძე-
ნა, რომელიც შეუფარდეს ჩემს ჯან-
მრთელობას.

— ერთი თვის შეგულება იქმა-
რეთ, — მითხრა უფროსმა ექიმმა.

— კილს გამოჰქრით.

— თვე ნახევარი იყოს.

— დამკლავთ მეთქი.

— ჰა, ჯანდაბას ორი თვე იყოს.

„დავასწმდი“...

მესამე დღეს აბასთუმანში ვიყავი,
ხილო, მითხრა კვირის შემდეგ უკვე პო-
პულარიზით ვსარგებლობდი ქალთა
სახელოებში.

სულ წოკლე ხანში „ლამაზი სქე-
სის“ წარმომადგენელთა განხეთქი-
ლებისა და ქიშპობის საგნადაც კი გა-
დავიქცე და იძულებული გავხდი
სხვადასხვა სტრატეგია შეხმარა, რომ
ყველას „გულის ბახჩაში“ თითო ვა-
რდი მაინც მომეწყვიტა.

რა თქმა უნდა, ეს „ვარდები უეკ-
ლოდ“ არ იწყვიტებოდა. საყვედური
მუქარა, ჩვენიანობის სცენები—იწყე-
ბოდა და აღარ თავადებოდა. ყოველი
მეტი გულსწყყრობა კი კბილის ექი-
მის მეუღლის თვალში დავიმსახურე,
რომელიც დამემუქრა:

— ქალი არ ვიქნები თუ ძვირად არ
ლაგვიჩნე იმ ნემეცის ქალთან სიარუ-
ლი. ვიჩვენებ რავარც უნდა ადამია-
ნის „გადღრჩაქება“.

რამდენიმე დღეს ხმას არ მკრძნა,
ახლოს არ მიკარებდა, მაგრამ ერთ სა-
ლამოს მოულოდნელად ბარათით და-
მიბარა:

„ამელამ გელი იცოდე“.

მე ეს უცნაურად მომიჩვენა, რად-
გან მისი ქმარი უკვე ჩამოვიდა და
კბილის ავადმყოფების მიღებაც და-
იწყა.

მაგრამ დანიშნულ დროზე მაინც
ვეწყვი.

— კოლეგი ამელამ სხვაგანა!—მი-
პასუხა ჩემს შეკითხვაზე. ერთი სიტ-
ყვით, შეგრიგდით. ბოდიშა და ფიცს
ტკბილი ქუქუქი მოჰყვა, რამაც დრო
შეუმჩნევად გაიყოფა. დამის პირ-
ველი საათი იყო, როცა შემოსასვ-
ლელ ოთახის კარები გაიღო და გარ-
კვეთილი ფიხის ხმა შემოგვესმა.

— დევრუბეთ, კოლეგი მევიდა.
ცივმა ოფლმა დამასხა, დავიბენი—
და იმის ნეტი ვერაფერი მოვახერხე,
რომ ხალხათის ყველა ღილები გავიხ-
სენი და ზეღაბლად დავიწყე მათი შე-
კვრა.

— ბენა, პრიღუმალა, გვეჩხენე,
მევიგონე—შეიხიე ელანძე ამით სა-
ხე და დიწყე ღრილი....

მე აღარც კი დამაცადა, სასწრა-
ფოთ ყა ამიხილა თავისი შალით და
მკაცრად მიბრძანა:

— იღრილე თვარა პავიბლი-თქვე
გეუბნები.

მე დაბრლილ დათვივით ადგრიალ-
დი ისე, რომ ოთახში განცვიფრებით
შემოსულ მის ქმარს კბილის ტკივი-

ლის უნაკლო ინსცენაროვკა დასცდა.

— ა, ხომ გითხარით მეცადეთ, —
ექიმიც ასევე მოვითქვა, — ჩამოიხა-
ნა და სხაპა-სხუპით მივარდა ქმარს
კოლეგი, დუშკა-ზოლოტო, აი ჩვენა
ინჟინერი ძანუალს იტავჯება კბილის
ტკ ვილთ, გოუმინჯე, ამოუღეს ორი
კბილი ტკივა მაგჯვენა!

— მაიტო ორი კბილი აქვს ამო-
საღები? — არაფერი, ეგ ადვილი სა-
სახურა! — სთქვა ექიმმა ტკენითა
და ტკის კვენტით. — ახლავე გაგა-
თავისუფლებთ მაგ აბეზარი კბილები-
საგან. მოწყალო ხელმწიფე. მოჰ-
მართა მან და სასწრაფოდ გადბიცა
თერთა წინსაფრი.

— დაბრძანდით ამ სავარძელზე—
მითხრა თითქმის ბრძანების კილოთი;
ჩე ძალაუნებურად ვემორჩილებოდი,
— ისე... გააღეთ პირი. ო, მართლაც
მძიმე დორმაში გტკივებით ორივე
კბილს. უნდა ამოიგლიჯოთ, თორემ
ტკივს ანთებაზე გადავა და ხვალ
დილანდ—შეიძლება გერც კი გადა-
ჩრეთ.

— ა-ა-ა, გლრიალებდი მე და ში-
შისაგან სიტყვას ვეღარ ვამბობდი.

— ასე... აბა გააღეთ პირი უფრო
მეტად. ასე... და ჩემს სალ კბილს მა-
გარი მოსდო გაზი...

ქახ!—გაისმა უცხად და მაგიდაზე
დაღმულ ლარნაკზე დაეცა ჩემი სა-
ლი კბილი. მე ღრიალს უმატე—მაგ-
რამ საჭმის გიღარ უშვილა და ჩემს
მეორე კბილსაც ასითივე ბედი ეწვია...

კარგა ხანი იყო გასული, როცა
გულწასული ძლივს მომბარუნეს, პი-
რიდან სისხლი მდიოდა. ოთახში მხო-
ლოდ ექიმოდა იყო.

— ეხლა მგინი კარგად უნდა
გრძნობდით თავს არა? ჩამეკითხა ის
ცოტა დამკრინავი კილოთი. აი ეს რე-
ცეპტი თან იქონიეთ და დანარჩენ
კბილებს ისე უწამლეთ, როგორც
სწერია... მშვიდობით.

მე გეჟივით გამოვვარდი გარედ
და მოვეუტყხლე ჩემი ბინისაკენ.
ალაყდის კარებთან გარკვევით შე-
მოვისმა ექიმისა და მისი ცოლის ხარ-
ხარი...

მეორე დილას აფთიაქში როცა რე-
ცეპტა წაიკითხა პროვინორმა—წარ-
ბები შეიქმუნა და უკანვე გადმომა-
წოდა.

— თქვენ შეგშლიათ, ეს პირადი
ბარათია.

გამოვართვი და წავიკითხე. აი რა
ეწერა ჩემს „რეცეპტში“: „არამზა-
დავ, ეს ორი კბილის ამოძრობა იქმა-
რე და დანარჩენს გაუფრთხილდი“.

იმ ღამეს ჩემად გამოვიპარე აბას-
თუმინიდან—დანარჩენ კბილების გა-
დასარჩენად.

თავს აღარ შეგაწყენო, მაგრამ ყვე-
ლა ამის შემდეგ ჩემი სურვილია მე-
გობრუოლი რჩივა მივცე „ავადმყოფო-
ბის“ გამო ხანგრძლივი შეგულებით
აგარაკზე მიმავალ კოლეგებს: დაის-
ვენეთ, გამოჯანსაღდით, მაგრამ გა-
უფრთხილდით კბილებს...

ვარსადან.

ახალგაზრდა მხატვართა ჯგუფი

ნახ. ა. კ—ძის. სურამი

ნახ. „გიალ“-ის

ნახ. ვ. თოს. ზორის. ზუგდიდი



— როდის დარგავენ, ნეტავ, საკმაო ხეებს
ჭურჭების პირას?

— მაშინ, როცა სურამში იმდენი აგრა-
ნომი იქნება, რამდენიც ხე არის დასარგავი,
რადგან წელს ჩვენმა ორმა აგრონომმა მხო-
დ 2 ოთხი ხის დარგვა მოახერხეს.

ნახ. ბახტაძის. სამტრედიო.



— ძია, მომედი ნაყინი!
— ეს საშენო არ არის. ეს „გაჩისტულე-
ბმა“ უნდა იყიდონ გულის გასაგრილებლად!

ნახ. ვ. ბურღილაძის. ვაშიკრი.



— ალბად ამას ჰგონია — ჯიბეში ფული
მაქვს, რომ ჩემს თებრუასავით მიბრუნებს
ჯიბეს!



— ხედავ რა ამბავია ფაიტონზე? ჩვენ
დავტრიალეთ წაუხვლელი.

— ნუ გეშინია; ჩვენ ფეხით წავიდეთ და
თუ იმათზე აღრე არ მივიდეთ, კაცს ნუ
დამიძახებ.

ნახ. რაფოსი



— ორი კაპიკი მაჩუქე, ღმერთო ვიშვე-
ლის!

— თუ ღმერთი მშველელია, მე რაღას
მთხოვ! მან გაჩუქოს!

ნახ. ფაშოსი



კულტურა! პირიქით, ეს არის ასე ვთქვათ ანტი-კულტურა.

დიდი ხანია, როგორც იქნა, „კინტოები“ გავდევნეთ აკადემიურ თეატრებიდან, მაგრამ ისინი ამჟამად თავს აღარებენ სოფელს. (სამწუხაროდ, ყველა კლუბებში გამოდის).

ჩვენ ვებოძვით ექიმბაშურს, მკითხავენს (მარჩი-
ლებს). რომლებსაც უმეტესად ქალები ეტანებიან. შო-
რუკნის მაზრის ქალთა განყოფილება კი — ქალთა სახა-
რებელთან (დიდ არს ალაჰი!) შეფობას ღებულობს მარ-
ჩიელაზე.

მუხრინავი ფოსტა. ეს კარგია, თუ ტენიციის გაუმჯობესებასთან გვაქვს საქმე. ავიაკაპქნილი ფოსტა— ჩვენ მიზანია მთავრად შორაპნის „მუხრინავი ფოსტა“—ეს არის საქმეცალეულ სოფლის „ინტელიგენციის“ გართობა. „სა საყდა-ულო წერალებს“ ჯღაბნა, და, ამით, გარყვნა ახალგაზრდობისა.

სოლამაზის პრიზი! — ეს გარყვნილ და გათახსირ-
ბულ ზურჭუჭთაიის გამოგონება. შორაპანში (და არა ზე-
რტო შორაპანში, ყველა ჩვენს დაბა-სოფლებში) შემო-
ღებულა. რამდენი გოგონა, პრანჭობა, პუდრი, საღე-
ბავა და სიკრძალოდ „სოლამაზის პრიზის“ მეტოქეებს.

და, დასასრულ „დასასრულ: ზურნით ვახშამი დი-
ლაში“.

მეორე დღეს აღბად სამუშაო დღის გაცდენა. არ ვიცი — სადაური ბურჟუაზია ჰყავს შორაპანს, რომ მეორე დღეს, საღამომდე იძინოს და გამოიძინოს.

იქ გვიჩვენა წერტილი დავუსეთ ამ წერილს (კარგი იქნებოდა წერტილი დაესმებოდეს ასეთ საღამომესაც). ხოლო წერტილის შემდეგ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად დავუმატებთ:

ჩვენს საველეო ეკუთვნის არა მარტო შორაპანის ქალთა განყოფილებას, არამედ ყველა მათ, რომლებიც ასეთ „გრანდიოზული საღამოებით“ მთიდებულბურად და თვალურ სამსახურს უწევენ კულტურულ რევოლუციის საქმეს სოფლად.

არიან ისეთები, რომლებსაც დაწინაურება თავისე-
ბოლო ისმის.

მეგალითისათვის, ავიღოთ აჭარისტანის ტინსახკომის ყოფილი მთავარი ბუხჩალტერი ვანო დუდუჩავა, რომელმაც აჭარისტანში მხოლოდ 2.500 მანეთის გაფლანგვა მოაწრო (ნეტქი ვერა!).

თქვენ გგონიათ, ის გამსახლში მიაბრძანეს!
არა.

Կարճ ժամանակում «Իսահակ»-ն.

„ამის შემდეგ (ე. ი. აჭარისტანის ფინსახკომში გა-
ფლანგვის შემდეგ) ვანომ თავი ამოჰყო იმავე თანამდე-
შობაზე ტფილისში (კიკაძისში).

ვანო ზის თავის კაბინეტში და აჩვენებდა ლილი-
ნებს:

Կա յարգուս Երկազմուհի,

შემაჯვარა ცეკვა ხშირი.

ვანოსაგან ხშირად გაიონებთ, (არც ისე უმიდურად
კაცია).

როცა მწყალობს ნათლია, —

ჩემზე ღმერთის მადლია.

ჰაა, საქმე თურმე იმაში ყოფილა, რომ ცეცხვშირის გამგეობის წევრი ე.ბ. დუდუჩავა ბავშვებს უნაოლავს ვანო დუდუჩავას. გეტქვა, შე დალოცვილო „ისარო“ ეს ამბავი ამდენხანს და ჩვენ თავს აღარ შევიწუხებდით,

როცა ამ სტრიქონებს ვსწერთ, ჩვენს წინ მაგიდაზე
ბერთოლა წითელი აფიშაა გადაჭიმული.

აი, მისი შინაარსიც:

ზესტაფონის კინო „ეთერი“-ს ეზოში

შეზღუდულია მისი ავტორიტეტი

შორაპნის მაზრის ქალთა განყოფილების
მიერ ქალთა ექსკურსიის სასარგებლოდ

გაიმართება

გრანდიოზული წარმოდგენა.

წარმოადგენილი იქნება:

„ბინის ძეგნაში“. „სხვის ბინაში“. კინტოების კუ.
კლუტები.

მფრინავი ფოსტა, აუქციონი. მარჩიელი და სხვა

დასასრულ: ზურნით ვახშამი დაღამდე

(კ)კვა პრიზზე. სილაგაზის პრიზი.

ბი, ერთ-ერთი 'საუკეთესო, სანიმუშო ილუსტრაცია, მაგალითი იმისა, თუ როგორ იწამლება ჩვენი სოფელი. ცულტურის შეტანა მასებში. ეს კარგი საქმეა, მაგრამ ამ გზით, ამ საშუალებით განა შეიძლება? ეს ხომ არ არის



მეჩაქმე:—თუ შეიძლება გადამიხადეთ ფეხსაცმელების შეკეთების ფული?
მილიციელი: — შენ ჩვენი მილიციელი გავილანძღავს და თუ ჰკუთხე არ იქნები, დაგაჯარიმებ ხუთი მანეთით.

ალმასხან მსუქანაძე

ძალიან დაფიქრებულ ალმასხან პარტიულმა წმენდამ: „ვაი, თუ ჩემი მეგობრები გასწმინდონ პარტიიდან და სამსახურიდან მოხსნან“-ო.
ფიქრობდა ის და ერთობ აინტერესებდა პარტიული წმენდის შედეგი.
ფანჯარაში იცქირებოდა და უყურებდა გამვლელ მეზობლებს, რომ გავგო როგორმე მათგან წმენდის ამბავი.
დიდხანს იყურა და ბოლოს თვალი მოჰკრა ქუჩაში მიმავალ გლეხს ამბროსია ჩინჩალაძეს.
— ამბროსი, ამბროსი, გამეიარე აქეთ! — მიამახა ალმასხანმა.
— რა შევჭირათ გინდა, რომ უძახი მაგ ამბროსიას? — უკმაყოფილოდ შეეკითხა ცოლი.
— მაი, ბოშო! იქნება ჭე იცოდეს, თუ ვინ გაჩისტეს და ვინ არა.
— მაგაზე დამიღა ჯავრი! რას დავეძებ! ვინც უნდა ის გაჩისტონ!
— ვაი, შენს პატრონს უბედურს! აბა, არ უნდა იცოდეს რაშია აქმე?!
— ბოშო, რაში მინტერესება თუ ვინცხას გაჩისტავენ! არა რათ გინდა, რომ გვიგო, შე უბედურო! შენ ხომ კულაა გიძახიან და შენთვის სულერა არაა ვინცხა იქნება პარტიაში?!

— „თმა გრძელი და ჰკუთ მოკლეო“, რომ იტყვიან, სწორედ შენზეა გამოჭრილი! აბა, რა უნდა ვიცოდეს, ქალო, თუ ვისთან მექნება მომავალში საქმე? — პარტიიდან რომ გაჩისტავენ კაცს, იმას სამსახურიდანაც მოხსნიან და ახალს დააყენებენ. აბა, არ გევიგო, თუ ვისთან რავე მე-ვიქცე?! აქიდანვე თუ არ შევეცადე, პურ-მარილი თუ არ დოუშვი ოხრად და არ დევიზნაკომე, ვინ გამახარებს შავდ სიის კაცს, ვინა? თუ ჩემი ძველი „მეგობრები“ ისევე დარჩენ პარტიაში და სამსახურში, პურ-მარილი უნდა გავაახლო, თვარა არ ივარგებს! ღაბატიყებ სადილოთ, ერთი რგულზე წვეიქეიფებთ და მერე სასწორო-სამართალიც ჩვენსკენ იქნება. პურ-მარილი, ჩემო ტერეზია, საჯოჯო-ხნეთ კაცს სამოთხეში ამოგვავოფიფეს თავს, საჭმეს დაკვირება უნდა, ტერეზია ჩემო, დაკვირება! აბა, რავე გგონია შენ! — ჩაახველა ალმასხანმა კმაყოფილების ნიშნად და დიდის სიხარულით შეეგება კარებში შემოსულ ამბროსია ჩინჩალაძეს.

— ალმასხანს ვახლავარ! — მიესალმა ამბროსია. — რაზე მიძახი, ბატონო?

— ოო, გამარჯვება შენი, ჩემო ამბროსია! თუ იცი შენ, ამბროსია ჩემო, ჩვენი სოფლის მთავრობიდან თუ გაჩისტეს ვინმე პარტიიდან?

— არ ვიცი, ჩემო ბატონო, არ გამიგია არაფერი.

— აბა, ერთი სიკეთე უნდა მიქნა შენ და თუ კაცი ვარ ერთი ასად გადაგიხდი.

ბრძანე, შენი ჭირიმე!

— შეირბინე, თუ კაცი ხარ, ჩვენი კომპერატის გა-მგესთან, ივლიანე ყლაპაძესთან, კარგი კომუნისტია, ღმერთმა დიდი დღე მისცეს. ამაყი არა არის. პურმარილი უყვარს და იოლათ გვეკიდება. მერე ინახულე ჩვენი საბჭოა მდივანი, იორდანე ქელეხაძე, ისიც კარგი კომუნისტია, არ უნდა ამას ლაპარაკი. ყლაპაძე უყვარს და საქმესაც გაგიკეთებს კაცს. იქიდან გამოუარე ბანკის დელეგატორს სოლომონ ღრიტინაძეს და მილიციონერს ფხაკაძეს. აგენი, ჩემო ამბროსი, ორივე დამიპატიყე დღეიზა სადილოთ. აბა, გასწი.

— კი ბატონო, დაეთანხმა ამბროსია და წავიდა, როგორც კი წავიდა ამბროსია მათ დასაპატიყებლათ წამოიჭრა ზევით ტერეზია, და მივარდა ქმარს.

— არა, შე სასიკვდილოვე, რა ეშმაკად გინდა, რომ უძახი! რავე, ფულები მოგჭარბდა, თუ რაშია საქმე?!

— არაა შენი საქმე! დეეტე შენ ტყავში! მთავრობის ჭალხია, პაწას დაფხარჯავ, მარა ღმერთი ასად ამომავებინებს. აბა, მოეშხადე!

ერთი საათის შემდეგ შემოვიდა ამბროსი და მოახსენა ალმასხანს:

— რავარც მითხარი, ყველასთან ვიყავი და დავპატრე.

— აწი? მოვალთო?

— ნოსვლით, კი მოვლენ, რავე არა, მაგრამ გლახათ კი არიან მოშლილი პრუტინებში.

— რავე?

— ოთხივე გოუჩისტავენ პარტიიდან საწყლები!

— გუოჩისტავენ?! ნუ ლაპარაკობ, დედა ნუ მოგიკვდება!

— აბა, ასეთი უბედურება მოსვლიათ საწყლებს!

გლები წავიდა.

— ვაი, ჩემო დღეო, რაღა მეშველება აწი! რავეა, დაწყობილი პლანები დამეშალა! — ჩაილაპარაკა — ალმასხანმა და ღრმა ფიქრებს მიეცა.

— ხაჰაჰურები დავაცხო? — შეეკითხა ტერეზია.

— არაა საჭირო. რაღა პარტიიდან გარიცხეს, რა ეშმაკად მინდა აწი მაგენი!

— იმე! არ ივარგებს, ბეჩა, რაღაი დოუძახე, ბარემ...


— აბა, მამაუცხოვნიდებით ახლა გაჩისტულ ხალხს ვაქეიფებ ტყვილა! რა ყრია ახლა იგენში!

— აგი სადილი მაინც ჭეა დამზადებული და...

— შეინახე, შეინახე; ეგებ სხვებზეა დავგჭირდეს. მე წავალ თითონ და კბილს მოუხინჯავ ახალ არჩეულებს.

როდემღის

(ობჩის თემი)



— ხალხი უმადოვრებდას გამოსტყვამს
— ჯერ ხომ წელიწადი არ შესრულვ-
ლები ზამთარში ვერ მოვლენ და ვერ შევ-
ბარებ მოვაწყობთ ეს რადიო! —
ბუღალა. დავიცადოთ ზამთრამდე. სოფლე-
ვაწყობებენ.

გოუთაკებელი ამბავი მინახავს, ყმა-
წვილო, მაგრამ ამისთანა ჩემს დღეში
არ მომსწრებია. თუ არ გვაღიროსებ-
დენ ამ რადიოს, რაღაზე ჰკრებდნენ
ფულს? რაღას აწუხებდნენ ხალხს?

აღმასკომის თავმჯდომარემ და
ქობსამკითხველოს გამგემ ყურები გა-
მოგიტყდეს ბაქა-ბუჭით. იმდენს
ტოაბახობდნენ, რომ ჩვენ გვეგონა: ა,
თუ ეს არის ფული ჯიბიდან ამოიღე

და ამ ხალხს მიეცე, რადიო მეორე
დღეს დეიდრიალებს ჩვენს სოფელში-
თქვა.

ეს ამბავი გახლდათ გასული წლის
დეკემბერში.

შეგროვდა ფული. დაიწყო შიგლი-
ნებები ქუთაისში. რადიო მოწყობი-
ლობის სასყიდლად და როგორც იქნა,
ერთ მშენებელ დღეს დავინახეთ რა-
დიო მოწყობილება ჩვენი აღმასკო-
მის ზინახე.

— არიქა, ბიჭო, გვეშველა. გიყვარ-
დეს აწი ოპერების და სხვადასხვა
ამბების მოსმენა ტელისიდან, მოს-
კოვდან, ამერიკიდან, გერმანიიდან,
— გავიფიქრეთ და ჩვენს სიხარულს
საზღვარი არ ჰქონდა.

მაგონამ...

ვაი ამ უბედურ „მაგონამ“. არ შე-
იძლება რომ იგი სადმე არ გამოეცე-
ხო, ობჩის თემში დაწყებულ რომი-
ლიანე საქმეს.

ჩვენ რადიო ობჩის აღმასკომის ზი-
ნაზე მთელი მოწყობილობით და უც-
ლის, უცდის...

რას უცდის ეს არც აღმასკომის
თავმჯდომარემ და არც ქობსამკითხ-
ველს გამგემ იცის.

ჩვენ კი ვიცით, რასაც უცდის.

იგი უცდის „ტარტაროზში“ ამ წე-
რალს მოთავსებას და ტარტაროზის
მაგარ ჩანგალს აღმასკომის თავმჯ-
დომარის გვერდებში. შემდეგ ალბად
ვევრდებ-აცხუნებული თავმჯდომარე
იქნება ფეხით ავა სკოლის სახე-
რავზე და თვითონ შეაერთებს მავთუ-
ლებს საჭირო ალაგს.

ჭიბინა.

გ ა ე ს ა ხ ლ უ ი

ღარაფი:

აქ არის ეხლა კრებული,
ჩვენთვის არაფრის უქნარა.
ბორბოტი საქმით ქებული,—
კარგი, რომ არა გვიქნა-რა
ბეკოჯერ გაგვკაწრეს მათ გული,—
და გვისიბდნენ ნაღველსა,
ე, ლა კი კანკებ გაკრული,
ეძალეზიან მნახველსა.
წინ რას შერებოდა, ასეთებს
აქ თვით იტყვიან ყველასა,
სადაც კანონი აწესებს,
თქვენგან მოველით შვილასა.

ღამნაშავენი:

ხელისუფლება გასაღდი და
შეგელო სამსახურში;
მან რა იცოდა, რა გვესურდა
ახლ რა გვედო გულში.
და ასე ვიდრე დრო გვქონდა
ვუკრიდით ჩვენი ყაიდა.
ესლა კი რა ვქნათ, გაგვიჩიტეს
გვიოხრეს: — გამსახლში, ჰაიდა!

პირველი ღამნაშავენი:

იცოდით, ყველა ნაცია,
ფეცკაკი ჩემთვის ერთია.
მარა, ო, კომბინაცია,
უფრო ჩემი ღმერთია.

„ჯ. აჯოხეთასაც კი ანათებს
ქრთამი“ — ძველად თქმულია.
ვირც მაძლევს ათ მანეთებს,
საქმე გაჩაჩხულია...

მეორე:

რა ვქნა, მიყვარდა ძალიან
ნაცნობთა პროტექცია.
ახსენისთვის არა მცალიან,
მანად რად გადამექცია.
თუნდა კარგი მუშა ეგზავნათ,
არ ვიყვანდი მე, რადგან
„ყველაფრის შემძლე ბარათი“
არ ჰქონდა ნაცნობთაგან

მესამე:

ერთ ალაგზე მოვეწყვე და
ვატოვებ თუ რამ არი,
ისე გასუქითი, ვით მხედავთ
ილარ მწვედბა ქამარი.

მეოთხე:

გამგედ ყოფნა მე ვიკრიდი,
თარსა მიფეს ვაღარბიდი.
აეტომობილით დავჭიროდი
და კარგს დროს ვატარებდი.
კუბინერში ვიჯექი თბილად
და პორტფელი მეჭირა,

მხოვენელთ ვიღებდი რთბილად,
მუშებს ვყავდი მე ჭირად.

მეხუთე:

ვიყავ მოლორე, რა მექნა,
„შენიომხარჯა“ ფულები.
მსურდა ცხოვრება „გარდემქნა“ —
შევისანსლე მოხრაკულები.
კარგი ცხოვრება მიყვარდა,
მე სახელმწიფოს ფულზედა;
ნაკარში გადამიფარდა
ყოფი, და ვსკდები გულზედა.

მეექვსე:

ჩვენ თქვენ რა გიჭირთ-ვიდარდო
მე პარტიულმა ბიჭმაო;
საითოა გადავიკარგო,
მომკლა დარდმა და იჭემაო.
ძლივს შევიპარე — გამიგის
რად ვქნა ხალხო. მიღეთო.
„ჩინტაში“ წესი ამიგის
ვაი პარტი-ბილეთო... ბილეთო!

ყველანი:

ცრეს რათ უნდა რკინის კარები?
გარს რად გვარტყია მცველად ჯა-
რები?

, ძმებო, სადღა გავიპარებით,
სად განვიქარვით ჩვენი ჯაგრიბი?
ტარზან.

„ამბერკინი“-ს (შორაპანი). ალბად თქვენაც გემა-
ნსოვრებათ, რომ თქვენი „მეტად საჭიროა“, ასე იწყება:
შორაპანისა თემში შედის
სოფელი წიფლაჯაკე.
საბჭოს წევრებს ექივრება
კარგი მაგარი სახრე.

მართლაც მეთად საჭირო ყოფილა სახრე წაფლავე-
კესათვის, მაგრამ, იცოდეთ, ერთი სახრე თქვენც მოგიბ-
დებათ ასეთი ცუდი ლექსის დაწერისათვის.
წერილის ბოლოში გვწერო: „შესწორება თუ დასტი-
დეს, შეასწორეთ თუ ძმა ხართ“.

ნუ თუ ექვი შეგდით, რომ ასეთ ლექსს სჭირია თუ
არა შეკეთება?

კოპერატივიც რომ გვქონდეს
მანაც კარგი იქნება.
სამი შაურის საქმეზე
გლენი მიდის ათ კილომეტრს.

სამაგეროდ ამ თქვენს წერილს ნახევარი მეტრის
გავლაც არ დასჭირვებია, ისე დაბინავდა სარედაქციო კა-
ლათში.

უბედურს (ქუთაისი) თქვენი არ ვიცით, და ეს წე-
რილი კი ყოფილა უბედური. მაგრამ არ გვინდა მისი
მთლად გაუბედურება და ამიტომ ვბეჭდავთ ერთ აღ-
ვილს, რომელიც შეიხება სანერგე ბაღის გამგე დანგაძეს:

მუშებს მისი ეშინია
დიდი იუფს, გინდ პატარა.
„უბატონოთ“ ხმას ვერ გასცემს
ახალგაზრდა თუ ჭაღარა.

ოფიცერი რომ ყოფილა, — სწორედ იმიტომ სცო-
დნია ასეთი მოპყრობა. (რას იზამთ, ჩვეულება რჯულ-
ზე უმტიცესია!).

ი. ბ. ტარ“-ს (ბათოში) ტჩპ-I — ვასიკო ქელესა-
შვილზე გვწერო, რომ:

ჭკუამახვილობს კიდევცა,
ამბობს: „რას ვშვრები ავსაო?
ქალთა შვენების ხილვითა
ვერ ვხმდებ, წყალს ვასმევ თვალსა.

ალბად თქვენც გაგიგონიათ: „არ გათეთრდება ყო-
რანი, რაც უნდა ხეზო ქვიშითა“... იგივე მუშგლებინი მე-
ორეჯერ მაინც მოიყვანს ჭკუაზე.

ისარმცემს (გომი, ქუთ. მაზრა) ადგილობრივ მას-
წავლებლობაზე სწერო, რომ ისინი:

ხშირად თვრებიან უზომოდ,
ჩხუბიც კი გაჩაღდებაო.
ამბაკო „კარგი ბიჭია“
ხაშა არ ჩამორჩებაო.
ასეთი მასწავლებლები
ჩვენ ვერ გაგვიზრდის შვილსაო...

ვერც ასეთი ლექსი გაასწორებს თქვენს მასწავლებ-
ლებს, თუ განათლების განყოფილება ყურადღებას არ
მაიქცევს.

მემძებარს (კონტუათი ქუთ. მაზ.). პასუხის მოსათ-
ხოვად ეს ადგილიც კმარა თქვენი ლექსიდან:

ნოქარ აღეს ვინ არ იცნობს,
მაგარია, როგორც მეხი.
გასულ კვირას კონტუათში
მან გალახა ერთი გლენი.

მოსხალისე (დანია - ქუთბი). ასეთი ლექსით აღ-
ასკონის ნაკლის გამოსწორება კი არა, მიღწევების წახ-
დება შეიძლება. თვით ამ ლექსის შესწორება შეუძლე-
ბელია. ის კაცი ვერაფერ სახიროს დასწერს, რომელიც
ამბობს:

ჩემთვის ყველა კარგი არის
გინ ეს იუფს და გინდ ისა.
და მე ამ მხრივ ვემგზავსე
თავმჯდომარე ბიკენტისა,
შენთან — შენობს, სხვასთან — სხვისობს,
მით ყველა ჰყავს „მადლიერი“
პართენი ჰყავს ოპეტუნად,
ხიტყვა არის ცარიელი.

ჰოდა, თუ ბიკენტის დასცინით და კიცხავთ, და
ამავე დროს თავისთავს ბიკენტის აღარებთ, მაშინ თქვენც
სოა ვერ ყოფილხართ „კაი კაცი“?

ასე და ამგვარად თქვენი „ლანირ-ქუტირის სიავ-კარ-
გე“-ში, სიავე ბევრი ვნახეთ, — კარგი კი — ვერაფერი.

ზოჩის (უზგდილი). მივიღეთ თქვენი წერილი, რომ-
მელიც ფოსტის საბარგო ავტომ მოგვიტანა (სილიდისა
და სიმძიმის გამო ფოსტალიონს ვერ წამოეღო). დღეიდან
შევეცდეთ კითხვას. (მოწვეულია მთელი შტატი). გადა-
კიოხვის დამთავრება შეტანილია ხუთწლიან გეგმაში (თუ
მოვასწართ, მაგრამ იმედი გვაქვს ამ ხნის, განმავლო-
ბაში მოვასწრებთ გადაკითხვას, რადგან წარმოება გადა-
დის განუწყვეტელ სამუშაო დღეებზე). პასუხს ელოდეთ
1934 წელში, როცა დამთავრდება თქვენი წერილის წა-
კითხვა.

ილბლიანს (ხახმარო). გვწერო, რომ:

გზაზე უჩაღნი დაგვიცენ,
აგვაწვივის ხელები,
ვის რაც კი ჰქონდა ჯიბეში
სულ მთლად წაიღეს ფულია.
მე ვერაფერი წამართვეს,
რადგან არ მქონდა „ნიჩეო“
და აწ ყოველთვის ცარიელ
თავითა წასვლას ვირჩეო.

სჯობია... ცარიელი თავი უფრო ადვილი ასატანია
ბახმაროზე, ვიდრე შიგ ტვინი და ჭკუა იუფს.

ხოხოხოს (სამტრედია) თქვენი „ბრაზი“ ასე თავ-
დება:

იქით-აქეთ ვატრიალე,
ვერაფერი გამოვიდა;
კედელს თავი მივახალე
როცა ბრაზი მომივიდა.

სწორედ, რომ ღირსია მაგეთი თავი კედელზე მიხა-
ლებისა. ჩვენც ვატრიალეთ ეს თქვენი წერილი, მაგრამ
არაფერი გამოვიდა, როგორც:

კარგად ვიცი ჩემს თავიდან
არაფერი არ გამოვა.
მაგრამ მაინც არა ვდარდობ,
ჩორტ სამნო, რაც რომ მოვა.

იმაზე უარესი, რაცა გპირთ, არაფერი მოგივათ.

გულშეწუხებულს (ხაშური). ვერ ვათავსებთ
თქვენს ლექსს არა იმიტომ, რომ ის არ ვარგა, არამედ —
სულერიია, ყურადღებას მაინც არავინ მაიქცევს. და თუ
კი თქვენ გგონიათ რომ — კი, — აბა ვნახოთ:

ამაჟობს რადიოთ ეს ჩვენი ხაშური.
თითქოს შიგ კნუტები ჩხავიან კატისა.
რადიო კარგია, ყველასთვის საშური.
შიგ ისმის ყაყანი ინდაურ-ბატისა.

ექვი არ შეგვდის თქვენი წერილის სინამდვილეში.
თვითონ ჩვენ ვნახეთ საკუთარი თვალებით და საკუთარი
ყურებით მოვისმინეთ ამას წინეთ თქვენი რადიოს მკაფიო
„სირინოზის სიმღერა“.

შავილვისპირელს. სწერეთ უფრო მნიშვნელო-
ვან ფაქტებზე.



დაჭკა, დოლო,
დაჭკა, დაჭკა!
ჰა, მიედიფარ
მეც ბანაკად!
რა დილაა,
ვიშ, რა კარგია
მხრებზე ბარგია!
ზურგზე ბარგია!
დაჭკა, დოლო,
დაჭკა, ხელო,
ხოფელს უნდა
მივიშველო—
ჩამოვიხსნი
იქ ამ ტვირთებს
და წინ წავსწევ
ყოფნის ზვირთებს!